პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 42 (18884) პარასკევი, 17 თებერვალი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

დეპუტატობის კანდიდატები

სურათზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, მოწინავე ჩაიმწველი მზიურა ტყეშე...

ლ. ბუსლოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მშვიდობისა და აღმშენებლობის კურსით

სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

მძიმე დანაკლისი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის გარდაცვალების გამო სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში მოვიდა...

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ОО ПРАВДА

16 თებერვლის მოწინავე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა — ახალი ამოცანების დონეზე

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის...

(საქინფორმი).

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიაში

16 თებერვალს თბილისში გ. ა. მეტონიძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა.

...

მიფრინავს „რადუგა“

1984 წლის 15 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს კავშირგაბმულობის მორიგი თანამგზავრი „რადუგა“, რომელზეც არის საბორტო სირეტრანსლაციო აპარატურა. იგი უზრუნველყოფს სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირს და სატელევიზიო პროგრამების გადაცემას.

თანამგზავრი „რადუგა“ გაყვანილია სტაციონარულის მახლობელ წრიულ ორბიტაზე. თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამზომი კომპლექსი მართავს თანამგზავრს. თანამგზავრის კავშირგაბმულობისა და სატელევიზიო აპარატურის ექსპლოატაცია დასახული პროგრამის შესაბამისად განხორციელდება. (ტასსი).

სასარგებლო წამოწყება შემოგვთავაზეს ავტომობილისტებმა, რომლებიც სახავენ მიმდინარე წელს მთელი საკონტეინერო ტვირთზიდვა რესპუბლიკის შიგნით ავტოტრანსპორტით განახორციელონ.

ე. ა. შევარდნაძე.

დამატებით პარტიულ დავალებას — პარტიული შემართება!

ავტოტრანსპორტელები სიახლეებს გვთავაზობენ

სახალხო მეურნეობისათვის რომ ავტოტრანსპორტის გამართულ მუშაობას საარსებო მნიშვნელობა აქვს, ამას მტკიცება არ უნდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის პლენუმზე ითქვა, რომ ტრანსპორტის მუშაობა სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუდმივ ყურადღებას მოითხოვს. ტრანსპორტს აქვს მეტი რეზერვები და გამოუყენებელი შესაძლებლობანი, რომელთა ამოქმედება მოკლე ვადაში შეიძლება.

ავტოტრანსპორტზე რეზერვების გამოვლენა-გამოყენებისათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში და ეს აღინიშნა კიდეც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XV პლენუმზე. მიუხედავად მთელი რიგი ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის სიძნელეებისა, რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა ენერგიულად იბრძვის საბოლოო შედეგისათვის და აღწევს კიდეც მიზანს. ამას მოწმობს შარშანდელი მონაცემებიც. მიაქციეთ ყურადღება: წლიური გეგმის გადაჭარბებით სამინისტრომ 2.300 ათასი ტონა ტვირთი გადაზიდა და 22 მილიონი მგზავრი გადაიყვანა. ტვირთბრუნვა 5 პროცენტით, ხოლო მგზავრთბრუნვა 4,5 პროცენტით გაიზარდა. დამზადდა გათვალისწინებულზე 336 ათას მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება 2,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ტვირთზიდვის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 1,4 პროცენტით შემცირდა. შარშან, წინასწარი მონაცემებით, დაიზოგა 15.800 ტონა ბენზინი და 4.300 ტონა სადიზელო საწვავი.

შედეგები, როგორც ხედავთ, დამაჯერებელია, მაგრამ ავტოტრანსპორტელები ოდნავადაც არ მისცემიან თვითდამშვიდებას, პირიქით, მომავლისათვის მეტად რთული და ყურადსაღები მიზნები დაისახეს. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრს თ. დავითაშვილს და რამდენიმე შეკითხვით მიმართა მას.

— ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი სამინისტრო ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ინიციატივას შრომის ნაყოფიერების 1 პროცენტით ზეგეგმითი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების 0,5 პროცენტით დამატებით შემცირების თაობაზე. რა გზებით აპირებთ ამ პასუხსაგები ვალდებულების შესრულებას?

— რაღა თქმა უნდა, მიღწეულზე დაყრდნობითა და საკმაოდ სოლიდური სამოქმედო პროგრამის უთუო განხორციელებით, ახალი შესაძლებლობების გამოვლენით და მათი მაქსიმალური გამოყენებით. როცა მიღწეულზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ ტვირთზიდვა-ტვირთბრუნვის მაჩვენებლების ყოველწლიურ სტაბილურ ზრდას, საავტომობილო პარკისა და ავტომობილთა გარბენის კოეფიციენტების გამოყენებას. ამ მიმართულებით საკმაო გამოცდილება შევიძინეთ და ნაცად მეთოდებს არ ვუღალატებთ, თუმცა იმასაც დავძენ, რომ არც ერთ ადგილს დავუწყებთ ტკეპნას. ტვირთზიდვის ოპერატიული დაგეგმვისათვის ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს გამოვიყენებთ. ღამის საათებში საქონლის დატვირთვისათვის თბილისის ნავთობის და საკვანძო რკინიგზის სადგურებში, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის რკინიგზის სადგურებში, აგრეთვე აგვილის, მეტეხის, აჭამეთის, სამგორის აგურის ქარხნებში შევქმნით სატვირთო და სპეციალურ ავტომობილთა სადგომებს. ეს ხელს შეუწყობს დატვირთვა-გადმოტვირთვის დროის მნიშვნელოვან შემცირებას და საწვავის მომჭირნე ხარჯვას.

— რა უდევს საფუძვლად თქვენს კონკრეტულ სამოქმედო პროგრამას, მიმდინარე წლისათვის და ხუთწლედის დამლევამდე?

— სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის დეკემბერში მიღებული დადგენილება „სახალხო მეურნეობაში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისას წამატებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საწვავ-საპოხი მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის შესახებ".

ეს გახლავთ ღრმად გააზრებული, დაკვირვებისა და გამოცდილებაზე დაყრდნობით შედგენილი, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. ჩვენთვის სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ეს პროგრამა დადგენილების გამოსვლამდე მნიშვნელოვნად ადრე შევადგინეთ და იგი მთლიანად ემთხვევა მასში წამოყენებულ მოთხოვნებს. განსაკუთრებული ადგილი პროგრამაში, ცხადია, ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოცულობის, კერძოდ, კონტეინერებით ტვირთზიდვის გადიდებას უჭირავს. ამ მიმართულებით გათვალისწინებული ყველა დასახული ღონისძიების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. საგრძნობლად გადიდდება კონტეინერებით ზიდვა ისეთი შიდარესპუბლიკური მარშრუტებით, როგორიცაა თბილის-ქუთაისი და თბილის-სოხუმი, თბილისსა და ქუთაისში შეიქმნება ახალი სატვირთო საავტომობილო სადგურები. ახალციხეში, ბათუმში, ცხინვალში, ფოთში, სოხუმში, ზესტაფონში, მახარაძეში, სამტრედიაში, რუსთავში, წნორში, ლაგოდეხში, ახალქალაქში, ტყვარჩელში, ტყიბულში მოეწყობა საკონტეინერო მოედნები. მომქმედ პარკს საკუთარი ძალებით ყოველწლიურად გავზრდით 200 კონტეინერით.

ამასთან რაც შეეხება მისაბმელებს, მათ რიცხვს წელიწადში 350 ცალით გავადიდებთ. სატვირთო და სპეციალიზებულ ავტომობილებზე 1,5-2-ცვლიანი მუშაობა დაწესდება თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, სამტრედიის რკინიგზის სადგურებში, ზემოხსენებულ აგურის ქარხნებში, აგრეთვე თამარისის, მარნეულის, გარდაბნის, წინამძღვრის, ახალსოფლის, ნოლაბურის, აჭამეთის, დარკვეთისა და სხვა საკარიერო მეურნეობებში. მაშასადამე, შესამჩნევად გაიზრდება გარბენის კოეფიციენტის გამოყენება და სხვა. ხუთწლედის დამლევისათვის კონტეინერებით ტვირთზიდვა 250 ათას ტონას მიაღწევს. ერთი სიტყვით, მთელი საკონტეინერო ტვირთზიდვა რესპუბლიკის შიგნით ავტოტრანსპორტით განხორციელდება.

— ზემოხსენებულ დადგენილებაში, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მთავარი ადგილი ტვირთის გადაზიდვისას წამატებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საწვავ-საპოხი მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის საკითხებს ეხება. რა კეთდება ამ მიმართულებით?

— დიახ, ეს პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია. შემუშავებულია წამატებათა წინააღმდეგ ბრძოლისა და ავტომობილების საწვავის მომჭირნე ხარჯვასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა. გეგმის თითოეული პუნქტის შესრულებისათვის პასუხს აგებენ სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, წამყვანი სპეციალისტები. დავიწყებ იმით, რომ ბენზინისა და სადიზელო საწვავის დაზოგვისათვის დაწესებული მატერიალური წახალისების სახსრების რაოდენობა 95 პროცენტით გაიზარდა. გადამხარჯველებს კი მთლიანად გაახდევინებენ საწვავის ღირებულების თანხას. დასახულ ღონისძიებათა უთუო განხორციელებით ბენზინის დანახარჯები ტვირთზიდვაში წლეულს 4,7 პროცენტით შემცირდება, მომავალი წლისათვის ეს ციფრი 8 პროცენტს მიაღწევს. რაც შეეხება სადიზელო საწვავს, მისი დანახარჯები მიმდინარე წლისათვის 2,5 პროცენტით, ხოლო ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის 4 პროცენტით შემცირდება. საწვავის დანახარჯების შემცირების პარალელურად ბენზინით მომუშავე ავტომობილების ტვირთამწეობის 1985 წლისათვის 3,2 პროცენტით, ხოლო დიზელით მომუშავე ავტომობილებისა — 1,2 პროცენტით გაიზრდება.

ბულგარეთის „იზოტექსის" გაერთიანებასთან თანამეგობრობით დავამთავრებთ ბენზინის გამცემი და აღმრიცხველი ავტომატური ხელსაწყოს დანერგვას თბილისის სამ ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში. ყველა დიდ ავტოსატრანსპორტო საწარმოში შეიქმნება ავტომობილთა ტექნიკური მდგომარეობის დიაგნოსტიკის საგუშაგოები. გაფართოვდება მუშაობა გაზბალონიან ავტომობილთა რაოდენობის შემდგომი გადიდებისათვის. წლეულს თბილისის № 3, რუსთავის [illegible] ავტოსატრანსპორტო საწარმოებში და თბილისის № 1 სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოში, რუსთავის მსუბუქი ტაქსების საწარმოში ახალი ბენზინგასამართი სადგურები აშენდება.

წარმოების ეფექტიანობის გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის შესანიშნავ მაგალითებს იძლევიან შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმით მომუშავე კოლექტივები. წლეულს ამ მეთოდით იმუშავებს 520 ბრიგადა, მომავალი წლისათვის მათი რიცხვი 600-მდე გადიდდება. შესამჩნევად გამრავლდება აგრეთვე სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადების რაოდენობა. საწარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მომჭირნეობის რეჟიმის სრულყოფილი მართვისათვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ცოდნის გაღრმავებას. შეიქმნება მუდმივმოქმედი ტექნიკური პროგრესის უნივერსიტეტი. სპეციალისტები კვალიფიკაციას აიმაღლებენ როგორც წარმოების მოწყვეტით, ისე მოუწყვეტლივაც. შარშან კვალიფიკაცია 650 კაცმა აიმაღლა. წლეულს კი ცოდნას ორჯერ მეტი ინჟინერ-ტექნიკოსი გაიღრმავებს, მომავალი წლისათვის ეს რიცხვი 1950-მდე მოიმატებს.

— ალბათ [illegible] მომსახურების გაუმჯობესების საკითხსაც?

— უთუოდ. [illegible] რესპუბლიკის გზებზე ყოველდღიურად გამოდის 4,5 ათასი ავტობუსი, რომლებსაც 1,5 მილიონზე მეტი კაცი გადაჰყავთ. [illegible] სართიჭალის, სურების, წითელწყაროს ნავთობმომპოვებლები, კარეთის, ზესტაფონისა და რუსთავის მეტალურგები. საავტობუსო მიმოსვლის მარშრუტებმა 2 ათასს გადააჭარბა, მათმა საერთო სიგრძემ კი 110 ათას კილომეტრს.

მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სამინისტრომ შეიმუშავა მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ და საექსპლოატაციო საიმედოობასთან დაკავშირებული მრავალი ღონისძიება. თბილისში, რუსთავში, სოხუმში, ბათუმში და სხვა ქალაქებში, სადაც მგზავრთა დიდი ნაკადია, მცირე და საშუალო მოცულობის ავტობუსები დიდი ტევადობის ავტობუსებით შეიცვლება. მგზავრთა კულტურული მომსახურების დონის მკვეთრი ამაღლება ჩვენი უპირველესი მიზანი გახდება.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კოლექტივები მეტი მონდომებითა და მტკიცედ იბრძოლებენ პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის პრესტიჟის ზრდისათვის, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ სახალხო მეურნეობის წინსვლაში.

შ. ამაშუკელი.

ერთი პატრონი

რაიონული აგროსამრეწველო: გავლენის ეფექტი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადებითად შეაფასა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა რაიონულ და რესპუბლიკურ რგოლებში აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის ეფექტიან ღონისძიებათა შემუშავებისა და დანერგვისათვის. შარშან სამი სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი. ამ სტატიაში ლაპარაკია ახლებურად მუშაობის პირველ შედეგებზე.

ახალი ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გ. ღვინიაშვილმა ძლივს ირწმუნა მისი სიმართლე. გაუქმდა „საქსოფლტექნიკა". პირველი აზრი, რომელიც თავში გაუელვა, ასეთი იყო: რა მოუვა მის კოლექტივს — წითელწყაროს რაისოფლტექნიკას, სადაც გიგი მმართველის მოადგილედ მუშაობდა, ან მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთელ სისტემას? სხვა რამეც დააფიქრა. მისი „კანტორა" მაინცდამაინც დიდად არ ზრუნავდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომსახურების ხარისხზე. ზოგჯერ მარტო სათადარიგო ნაწილებს გადასცემდა და მოითხოვდა, რომ მანქანების რემონტი გაეფორმებინათ. ახლა ეს აშკარად გამჟღავნდება...

„საქსოფლტექნიკის" გაუქმების შესახებ ხმები მთლად ზუსტი არ აღმოჩნდა. სოფლისათვის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი სამსახური დარჩა, მაგრამ რამდენადმე სხვაგვარი სახით. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შარშან იგი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში გაერთიანდა.

ეს ექსპერიმენტია. უფრო ზუსტად, იმ ექსპერიმენტის მეორე ეტაპი, რომელიც საქართველოს სოფლებში ათიოდე წლის წინათ დაიწყო. მაშინ აბაშისა და სხვა რაიონებში პირველი აგროსამრეწველო გაერთიანებანი გაჩნდა. მათ ბევრი რამ გააკეთეს, განსაკუთრებით — დარგთაშორისი ურთიერთობის სრულყოფის მხრივ. მაგრამ სიძნელეებმაც იჩინა თავი. პარტნიორთა უმრავლესობა ხომ გაერთიანებაში შევიდა, მაგრამ იმავე დროს ძველ უწყებებს ექვემდებარებოდა. სანამ სულ რამდენიმე „საექსპერიმენტო" რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება არსებობდა, უწყებრივი დაბრკოლებანი დიდად არ უშლიდა ხელს. მაგრამ, როცა ასეთი გაერთიანებანი მთელ საქართველოში შეიქმნა, აშკარად იჩინა თავი წინააღმდეგობამ რაიონულ და რესპუბლიკურ რგოლებს შორის.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება სახსრებს კვლავინდებურად სხვადასხვა არხით იღებს. ამას თან სდევს შეუთანხმებლობა. მაგრამ, თუ რესპუბლიკურ დონეზე შეიქმნა ერთი ორგანო? ორი წლის წინათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათავეში ჩაუდგა გ. მგელაძე, რომელიც მანამდე პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი იყო. ეს კაცი ედგა სათავეში პირველ ექსპერიმენტს.

— იმთავითვე ვგრძნობდი, — გვიამბობს გურამ მგელაძე, — რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის სამინისტრო მხოლოდ ნომინალურად აგებს პასუხს საქმის მდგომარეობისათვის. მეურნეობებში ათიათასობით მანქანაა, სამინისტროში — მექანიზაციის პატარა სამმართველო, ხოლო მანქანების პარკის მზადყოფნის მთელი რესურსები „საქსოფლტექნიკის" ხელშია. აქ დიდი საინჟინრო სამსახურია, რომელიც პასუხს აგებს არა მანქანების წესივრობისათვის, არამედ მხოლოდ საქონელბრუნვისა და რემონტის გეგმებისათვის. ჩვეულებრივ, დავალებათა შესრულების პატაკს იძლევიან ხოლმე. მეურნეობებში კი ორი-სამი ათასი ტრაქტორი გაფუჭებულია და არ მუშაობს. მელიორატორებსაც მარტოოდენ მაგისტრალური არხების, სამეურნეობათაშორისო ქსელების მდგომარეობა აწუხებდათ, ის კი არ ადარდებდათ, აღწევდა მინდვრამდე წყალი თუ არა.

მაგრამ როგორი უნდა იყოს ახალი ორგანო? აქ დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებდა. დამკვიდრებული ურთიერთკავშირის მსხვრევა იოლი საქმეა, უფრო ძნელია მისი გაუმჯობესება და მით უმეტეს ახლის შექმნა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა გულმოდგინედ სწავლობდნენ ამის გამო მიღებულ წინადადებებს. პარტნიორები სოფელს ბლომად ჰყავს. ყველანი ერთ ჭერქვეშ მოვაქციოთ? ბოლოს გადაწყდა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯერჯერობით უნდა შეერწყას ყველაზე დიდმნიშვნელოვან სამსახურებს — ტექნიკურსა და სამელიორაციოს. ახალი კომიტეტის მეთაურობა გ. მგელაძეს დაევალა.

...გ. ღვინიაშვილის შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდა. როგორც კი წითელწყაროს რაისოფლტექნიკა (თავდაპირველად მას ქვეგანაყოფებს უწოდებდნენ) მთლიანად დაექვემდებარა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას, მის გეგმებს წყალი შეუდგა. ცდილობდნენ ძველებურად ემუშავათ: მეურნეობებში ჩაეტანათ სათადარიგო ნაწილები და სარემონტო ანგარიშში გაეფორმებინათ. მეორე დღეს გიგი განმარტებას იძლეოდა რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში.

— რა ვქნა, გეგმა მეშლება, — ამტკიცებდა იგი.

— გეგმებს გადავხედავთ, — უპასუხა გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარემ ი. ფიროსმანაშვილმა. — მეტისმეტად დიდი გეგმები გაქვთ. გამოიკვლიეთ კოლმეურნეობებში, საჭიროა თუ არა ამ მოცულობით ტექნიკის შეკეთება. უფრო ხშირად გეტყვიან, არაო. თქვენც ხომ თავს ვერ არიდებთ ამ საქმეს, მხოლოდ მეურნეობებში დეტალების ჩამოტარება გაწყობთ.

გიგის, რა თქმა უნდა, გულში ეხმოდა: არარეალურ გეგმებს უწესებდნენ... და როცა მარცვლეულის ამღები კომბაინების მომზადების დრო დადგა, რაისოფლტექნიკამ ძველებურად აღარ იცოდა საქმე ისე წარმოეჩინა, თითქოს რემონტში აქტიურად მონაწილეობდა. გააკეთა ის, რაც ძალუძდა — მეურნეობებს სათადარიგო ნაწილები მიაწოდა. მექანიზატორებმა თვითონ შეაკეთეს და მოაწესრიგეს აგრეგატები.

მაგრამ, გეგმა? გ. ღვინიაშვილმა ახალ კომიტეტს მიმართა: კორექტირებაა საჭიროო. მაგრამ, როგორც ცნობილია, დავალების შემცირება დიდად წასახალისებელ საქმედ არ ითვლება. ეს კია, ამჟამად განსაკუთრებული შემთხვევა იყო. გეგმა შეუმცირეს.

მარტო აქ კი არა, — სხვა რაიონებშიც. წამოიჭრა ახალი პრობლემა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი სამრეწველო წარმოების ხაზით აღირიცხება. როგორ შევასრულოთ გეგმის შესრულების ზარვებზე? კომიტეტში გადაწყვიტეს, რომ ამ საქმეში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამხმარე საწარმოების პროდუქცია წაეშველებინათ.

მიმდინარე წლისათვის სახელმწიფო კომიტეტმა ერთობლივად შეამცირა კაპიტალური რემონტის მოცულობანი — 34-დან 17 მილიონ მანეთამდე. წინასწარ, ცხადია, გულმოდგინედ გააანალიზეს მეურნეობათა საჭიროებანი, სარემონტო სამსახურის შესაძლებლობანი. წარსულს ჩაბარდა უაზრო პროცენტომანია და ყალბი აქტები.

ახლა შემკეთებლები სხვა რაიმისთვის ზრუნავენ. ზუგდიდის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების სახელოსნოს (ახლა ასე უწოდებენ ყოფილ რაისოფლტექნიკას) შესასვლელთან დიდი სტენდია. ყოველდღიურად აღინიშნება მეურნეობებში ტექნიკის გამოყენება, მისი მდგომარეობა. ამ მაჩვენებლებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელოსნოს მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობა. ისინი ახლა პასუხს აგებენ საბოლოო შედეგებისათვის. აი ნაყოფიც. ვთქვათ, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გასულ ზაფხულში გამართულად იმუშავა 43-ვე ჩაის საკრეფმა მანქანამ. ამის წყალობით გეგმის გადამეტებით 440 ტონა ფოთოლი დაამზადა. წინა წელს კი ორასი ტონა დააკლდა: რამდენიმე მანქანა სულ გაჩერებული იყო.

თანაც, მაშინ რაისოფლტექნიკა თვითონ ვერ ასწრებდა მექანიზმების მოწესრიგებას და მეურნეობებს საკმარისი რაოდენობით ვერ აწვდიდა სათადარიგო ნაწილებს. ახლა დეტალების საქმეს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანება განაგებს. გამოცდილი ინჟინრისა და სხვა საბჭოთა მეურნეობის სახელოსნოებს საკუთარი ძალებით რემონტი ორჯერ უფრო იაფი ჯდება. გაერთიანების ტექნიკურმა სამსახურმა კი მთავარი ყურადღება იმ უბნებს დაუთმო, სადაც მისი დახმარება მართლაც საჭიროა. გაერთიანებასა და მეურნეობას შორის ახლა აღარავითარი უწყებრივი ზღუდე აღარ არსებობს. მაგალითად, მახარაძის კოლმეურნეობებში რაიონიდან გაგზავნეს მუშაკები და ჩაის ფოთლის მკრეფავთა სამეურნეოანგარიშიანი საიჯარო ბრიგადებში შეიყვანეს. იმავე პლანტაციებიდან შარშან ცხრა ათასი ტონით მეტი პროდუქცია დაამზადეს.

— მეურნეობების სარწყავი ქსელი ძალზე წახდა, — გვეუბნება მახარაძის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ი. სალუქვაძე. — ოთხი წელი ვეხვეწებოდი რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს რაიონისთვის გამოეყო რამდენიმე ასეული საცვალი. სამინისტრო მოწყობილობას გვაძლევდა, მაგრამ ერთი პირობით — მხოლოდ იმ სამეურნეობათაშორისო სისტემებისთვის გამოგვეყენებინა, რომლებსაც ჩვენ ვემსახურებოდით. შარშან კი ფონდები რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას გადაეცა. მან განკარგულება გასცა: კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხუთასი საკვალთი დაგვეყენებინა.

მელიორატორები ახლა აღარ ანსხვავებენ მაგისტრალურ არხსა და საკოლმეურნეო ქსელს. ისინი თანაბრად აგებენ პასუხს ორივეს მდგომარეობისათვის, რადგან მთავარი კრიტერიუმია სარწყავი მიწების უწყლება.

ერთხელ, როგორღაც, ყაზბეგის რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარე თბილისში ჩავიდა, რათა კომიტეტისთვის სათადარიგო ნაწილები ეთხოვა. იმავე საღამოს დაბრუნდა შინ. მაგრამ ჩაიტანა არა დეტალები, არამედ... საყვედური.

აი, როგორ იყო საქმე. სახელმწიფო კომიტეტმა ხელმძღვანელებს [illegible] მეურნეობა. ჩვეულებრივ, რისთვის ჩამოდიან ხოლმე? მოწყობილობის, მანქანებისა და დეტალებისათვის. ზოგი მოზრდილ ლუკმას მოიგდებს ხელში, ცხადია, — მეზობლის ხარჯზე. თანაც, რა კომიტეტის საქმეა შესაძლებლობებისა და ნობილების განაწილება. ახლა მთელი რესურსები რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს გადაეცა.

არ ჩაფლულიყვნენ წვრილმანებში, მიმდინარე საქმეებში. ასეთი საფრთხე კი შეიქმნა. ვთქვათ, როგორ შევამცირებინათ ქაღალდების ნაკადი. წინათ ხომ ყოველი ქვეგანაყოფი, რომელიც ახლა აგროსამრეწველო გაერთიანებაში შევიდა, თავისი არხებით იღებდა განკარგულებებს. ახლა კი რაიონულ გაერთიანებას, უწყებათა რწმუნებულ შემდეგ, ეს ნაკადი შეიძლებოდა გასამკეცებული ძალით დასტყდომოდა თავს. მაგრამ ახლა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებანი რესპუბლიკის დედაქალაქიდან წინანდელზე ნაკლებ ბრძანებებსა და განკარგულებებს იღებენ.

— ჩვენმა სამსახურმა კი, — გვეუბნება ყოფილი რაისოფლტექნიკის მმართველი, ამჟამად მახარაძის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მექანიზაციის დარგში მ. კვირკველია, — ორჯერ ნაკლები ქაღალდები მიიღო.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი სამი სამინისტროს უბრალო მექანიკური ჯამი როდია. გაუქმებულ უწყებებში ათასზე მეტი კაცი მუშაობდა, ახალში — რვაასამდე კაცია. [illegible] მხოლოდ 46 დარჩა. სამ მინისტრს ჰყავდა 24 მოადგილე, ახალი კომიტეტის ხელმძღვანელს ორჯერ ნაკლები ჰყავს.

მაინც ბევრია? მადლობელი ვართ, მმართველობისა და ეკონომიის რგოლების შემცირება გრძელდება.

— გარდაქმნები მარტო აპარატს როდი ეხება, — გვეუბნება სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რ. კაკულია. — მთავარია მივაგნოთ მართვის ყველაზე ეფექტიან მეთოდებს, შევქმნათ გამსხვილებული დარგის ეკონომიკა. აღრიცხვა, ანგარიშგება, სამეურნეო ანგარიშიანი ურთიერთობა ყველა პარტნიორს ხომ თავისებური ჰქონდა. აქედან გამომდინარეობდა წინააღმდეგობანიც, უწყებრიობა. ახლა ერთიანი საწარმოო და ეკონომიკური ორგანიზმი იქმნება.

აქვს თუ არა კომიტეტს ამისთვის საჭირო ბერკეტები? დიახ, აქვს. უწინარეს ყოვლისა — დაგეგმვის სისტემა, რომელიც მთლიანად ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო ინტერესებს. მაჩვენებლებმა, რომლებსაც წინანდელი სამინისტროებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ საბოლოო შედეგებზე გავლენას არ ახდენდა, აზრი დაკარგა. ისეთებმა, როგორიც არის შეკეთებული მანქანების რიცხვი, საქონელბრუნვის თანხა. ახლა კომიტეტში კონცენტრირებულია მთელი რესურსები — ფინანსურიც და მატერიალურიც. უამისოდ რესპუბლიკური ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხშირად მრავალ ორგანოდ გვევლინებოდა ხოლმე. როგორ არის აგებული კომიტეტისა და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებების ურთიერთობა? ახლა გაერთიანება ერთიან გეგმასაც და რესურსებსაც ერთი წყაროდან იღებს. ადგილზე წყდება, თუ რა საშუალებანი გადასცენ მეურნეობებს, რა გამოუყონ შემკეთებლებს და მელიორატორებს.

რაიონული და რესპუბლიკური რგოლის კავშირურთიერთობა თანდათან იხვეწება. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრია შეუსაბამობანი. განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ახლა უწყებას არ ექვემდებარებიან. გადამამუშავებელმა და ხილბოსტნეულის დარგებმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ურთიერთობა ამ საწარმოებთან ხშირად რთულდება.

ახალმა ორგანომ ჯერ კიდევ მკვიდრი ხიდი უნდა გადოს მომიჯნავე დარგებს შორის. რა თქმა უნდა, აქ საკავშირო სამინისტროთა დახმარება აუცილებელია. მაგრამ როგორც კი შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი, ზოგიერთმა მათგანმა, საერთოდ, გაწყვიტა კონტაქტები ახალ უწყებასთან. არცთუ იშვიათად ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო საგეგმო და საფინანსო ორგანოებიდან ახალ კომიტეტში მოდის მითითებანი და ინსტრუქციები, რომლებიც არ ითვალისწინებენ მართვის სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს.

— ბევრისათვის ცნობილმა აბაშის ექსპერიმენტმა მხოლოდ ახლა, რესპუბლიკური რგოლის გარდაქმნის შემდეგ მოიკრიბა მთელი ძალა, — ამბობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა მნიშვნელოვნად განამტკიცეს თავიანთი უფლებები, მდგომარეობის ჭეშმარიტი ბატონ-პატრონები გახდნენ, გაიზარდა მათი დამოუკიდებლობა. მართვის სტრუქტურა კვლავაც გაუმჯობესდება, რათა შეიქმნას აგროსამრეწველო კომპლექსის ერთიანი ეკონომიკური და სამეურნეო მექანიზმი.

ექსპერიმენტი ექსპერიმენტია. მასში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასაზუსტებელი და დასახვეწი. მაგრამ სულ უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ იგრძნობა ცვლილებები საქართველოს სოფლებში. განსაკუთრებით საგულისხმოა გასული წელი. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქციისა და მარცვლეულის მიყიდვის დავალებანი. არსებითად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. საგრძნობლად განმტკიცდა მეურნეობათა ეკონომიკა. თითქმის აღარ არის ზარალიანი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ამ საქმეში არცთუ უკანასკნელი როლი შეასრულეს რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა.

ვ. ლებანიძე,
ვ. სომოვი.
(„პრავდის" სპეც. კორ.).
„პრავდა", 1984 წ. 16-II.

16 თებერვალი

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები
ტასსი იუწყება

მშვიდობის კურსი — მტკიცედ, თანამიმდევრულად

საბჭოთა კავშირი კვლავაც მტკიცედ განახორციელებს პრინციპულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა ხალხის ინტერესებს შეესაბამება, იგი ოდნავადაც არ გადაუხვევს მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს. ასეთია ლაიტმოტივი ფართო საერთაშორისო გამოხმაურებისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის შედეგებზე, სიტყვებზე, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ წარმოთქვა პლენუმზე და წითელ მოედანზე გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლები ნათლად მოწმობს, რომ მუდმივი და უცვლელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით დაისახა და შემოქმედებითად განვითარდა ყრილობის შემდეგ, წერს „ბულგარული რაბოტნიჩესკო დელო". კ. უ. ჩერნენკოს სიტყვები რაზმავს კომუნისტებს, ყველა საბჭოთა ადამიანს — თანამიმდევრულად გადაწყვიტონ ამოცანები, რომლებზეც დამოკიდებულია კომუნისტური მშენებლობის განუხრელი წინსვლა, საბჭოთა ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა, სკკპ სოციალური პროგრამის განხორციელება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კ. უ. ჩერნენკოს იმ განცხადებას, რომ ახლანდელ, უაღრესად დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაშიც საბჭოთა კავშირი განაგრძობს მშვიდობის — ყველა დიდი თუ პატარა ერებისათვის მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხს ახალი გამარჯვებებისაკენ მიუძღვის მეცნიერულად შემოწმებული კურსით — ლენინური კურსით, და ამ კურსს იგი არ გადაუხვევს, აღნიშნავს „ნოიეს დოიჩლანდი" (გდრ). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვები მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი ისწრაფვის დამკვიდრდეს მშვიდობა, იხსნას კაცობრიობა ბირთვული კატასტროფის საფრთხისაგან. საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა პრინციპული მნიშვნელობის დიდმნიშვნელოვანი ინიციატივა, და მსოფლიოს ხალხები მოელიან, რომ დასავლეთის ქვეყნები გამოეხმაურებიან ამ ინიციატივას.

იუგოსლავიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წამყვანი ადგილი უკავია ცნობებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვებს. გაზეთი „პოლიტიკა" აღნიშნავს, რომ უცვლელია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლა, წერს გაზეთი, მოწმობს, რომ კომუნისტური პარტია მშვიდობის ლენინური პოლიტიკის ერთგულია. ვრცელ სტატიაში, რომელიც კ. უ. ჩერნენკოს საქმიანობას ეძღვნება, გაზეთი ხაზს უსვამს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, რომელსაც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს.

საბჭოთა კავშირი, წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი", დაადასტურა, რომ მზად არის შეუდგეს მოლაპარაკებას, ოღონდ პატიოსან მოლაპარაკებას, თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების საფუძველზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ მუქარით საბჭოთა კავშირს ვერ დააშინებენ, რომ მტკიცეა მისი თავდაცვა.

მოსკოვში ჩვენ ვიგრძენით მტკიცე გადაწყვეტილება — განაგრძონ ის პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებდა ი. ვ. ანდროპოვის ხელმძღვანელობით, განაცხადა დელიში ჩასვლისას ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პ. ვ. ნარასიმჰა რაომ. ეს ნათლად განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ. საბჭოთა ხალხი გამიზნულად იღვწის დასახული მიზნების მისაღწევად. ჩვენ მხარს ვუჭერთ საბჭოთა ხელმძღვანელობის სამშვიდობო მცდელობას და ვუსურვებთ საბჭოთა კავშირს დიდ წარმატებებს ამ კეთილშობილურ საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, აღნიშნავს ინგლისური „ტაიმსი", ხაზი გაუსვა საბჭოთა ხელმძღვანელობის პოლიტიკის მემკვიდრეობითობას. საბჭოთა კავშირი განაგრძობს მშვიდობის პოლიტიკას, მტკიცე, სამართლიანი მშვიდობის პოლიტიკას. მოსკოვი ადასტურებს, რომ მას სწადია მოლაპარაკება, ოღონდ პატიოსანი მოლაპარაკება, თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი, წერს ფრანგული „ლუმანიტე", კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა თავიდან აიცილოს კაცობრიობა ომის საფრთხე, გააჯანსაღოს საერთაშორისო ვითარება. მშვიდობის განმტკიცებისათვის საჭიროა დასავლეთმა, უწინარეს ყოვლისა, ხელი აიღოს დამკვიდრებული სამხედრო-სტრატეგიული წონასწორობის დარღვევის ცდებზე, შეწყვიტოს ბირთვული შეიარაღების ზრდა, განახორციელოს ღონისძიებანი შეიარაღების შეზღუდვა-შემცირებისათვის. ამ საკითხში სსრ კავშირი მტკიცე, პრინციპულ პოზიციას იცავს.

● ლიბანი

უხეში ჩარევა გრძელდება

ბეირუთი. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა განაგრძობს უხეშ ჩარევას ლიბანის საშინაო საქმეებში. მთელი დღის მანძილზე ლიბანის ნაპირებთან თავმოყრილმა ამერიკის ხომალდებმა რამდენჯერმე დაუშინეს ცეცხლი ქვეყნის მთის რაიონებს. მთის რაიონებში გაჩაღებული შეტაკებანი მიმდინარეობს პროგრესულ-სოციალისტური პარტიის რაზმებსა და ლიბანის ჯარს შორის, რომლის სარდლობამ ვაშინგტონის წაქეზებით სცადა იერიშის მიტანა. მაგრამ ჯარის ქვეგანაყოფები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ.

პროგრესულ-სოციალისტური პარტიისა და „ამალის" შიიტთა მოძრაობის რაზმების მიერ 14 თებერვალს განხორციელებული ერთობლივი ოპერაციის შედეგად ეროვნულ-პატრიოტულმა ძალებმა კონტროლი დაუწესეს ტერიტორიას ეგრეთ წოდებული „მწვანე ხაზიდან", რომელიც ლიბანის დედაქალაქს აღმოსავლეთ და დასავლეთ სექტორებად ჰყოფს, ქალაქ დამურის მიდამოებამდე.

ფოტოფაქტი

● აშშ

პუერტორიკოელთა პროტესტი

„არ გვინდა ამერიკული ბაზები კუნძულზე!", „თავისუფლება პუერტო-რიკოს პოლიტპატიმრებს!" — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ნიუ-იორკში საპროტესტო დემონსტრაცია პუერტო-რიკოში ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობასთან გამართულ მიტინგზე პუერტორიკოელთა უფლებების დაცვის ეროვნული კონგრესის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შეუპოვრად იბრძოლებენ პუერტო-რიკოს დამოუკიდებლობისათვის, მისი ხალხის უფლებისათვის თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი, მთელ ძალ-ღონეს მოახმარენ ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი ნიუ-იორკში.

ტასსის ფოტო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

დავძლიოთ ჩამორჩენა ბალახის ფქვილის წარმოებაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა ვიტამინიზებული ბალახის ფქვილის წარმოებაში არსებული ხარვეზების ნაკლოვანებებისა და ამ საქმეში ჩამორჩენის დაძლევის ღონისძიებათა საკითხი.

აღინიშნა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების მიუხედავად რესპუბლიკაში სისტემატურად ვერ სრულდება ვიტამინიზებული ბალახის ფქვილის წარმოებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის ამ ფქვილით მომარაგების გეგმები. 1982-1983 წლებში ბალახის ფქვილის წარმოება 1980-1981 წლებთან შედარებით 13,8 ათასი ტონით, ხოლო მისი დამზადება — 10,3 ათასი ტონით შემცირდა. სულ კი კომბინირებული საკვების საწარმოებს 1982-1983 წლებში დააკლეს 23 ათასი ტონა ბალახის ფქვილი, მათ შორის საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მეურნეობებმა — 10 ათასი ტონა, ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს მეურნეობებმა — 13 ათასი ტონა. იმის გამო, რომ მარტო მარნეულის რაიონის — ვიტამინიზებული ბალახის ფქვილის მთავარი მწარმოებლის სპეციალიზებულ მეურნეობებში აგროსამრეწველო გაერთიანებამ, აგრეთვე საწარმოო გაერთიანება „ცხოველმრეწველმა" და აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანებამ შეასუსტეს მოთხოვნილობა ამ პროდუქციის წარმოებისადმი, 1982-1983 წლებში სახელმწიფოს დააკლდა 15,1 ათასი ტონა ბალახის ფქვილი, რაც რესპუბლიკის სახელმწიფო გეგმის 49,3 პროცენტს შეადგენს.

1983 წელს ვიტამინიზებული ბალახის ფქვილის წარმოების გეგმები აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკამ — 1,4 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა — 21, ქალაქ წყალტუბოს ზონამ — 44,3, ხობის რაიონმა — 43,1 პროცენტით შეასრულეს.

შესაბამისი სამინისტროები და უწყებანი, აგროსამრეწველო გაერთიანებები და მეურნეობები იმის ნაცვლად, რომ გაზარდონ ცილებით მდიდარი ბალახეული კულტურების ნათესები, ვიტამინიზებული ბალახის ფქვილის წარმოების გეგმის შესრულებას გამოდევნებულნი იყენებენ ყოველნაირ მწვანე მასას, მათ შორის სარეველებს, ჩალას და მარცვლოვანი კულტურების ნარჩენებს. დაბალია პროდუქციის ხარისხი. დანიშნულებისამებრ არ იყენებენ ბალახის ფქვილის დამზადებისათვის განკუთვნილ ტექნიკას, შესაბამის აგრეგატებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სრულიად არასაკმარისად ცნო საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. მეფარიშვილის, ამავე კომიტეტის საკვების წარმოების მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. გოდაბრელიძის, რესპუბლიკის მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანება „ცხოველმრეწველის" თავმჯდომარის ამხ. ჩხაიძის, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის მოადგილის ამხ. რუხაძის და ამავე სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გონაშვილის მუშაობა ვიტამინიზებული ბალახის ფქვილის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

მინისტრთა საბჭომ სასჯელი დაადო პირებს, რომლებმაც დაუშვეს ამ საქმეში გეგმის შეუსრულებლობა, დასახა ვიტამინიზებული ბალახის ფქვილის წარმოებისა და დამზადების გადიდების, მისი ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

საუბრები კრემლში

16 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი კრემლში შეხვდა მალტის რესპუბლიკის პრეზიდენტს აგატა ბარბარას.

ა. ბარბარამ გულწრფელი სამძიმარი გამოთქვა ი. ვ. ანდროპოვის გარდაცვალების გამო.

ნ. ა. ტიხონოვმა მალტის პრეზიდენტს, მთავრობასა და ხალხს მადლობა მოახსენა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის ხსოვნის პატივისცემისათვის.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფომ გააძლიეროს ღონისძიებანი, რათა გაჯანსაღდეს საერთაშორისო ვითარება და განმტკიცდეს ორმხრივი ნდობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში როგორც გლობალური მასშტაბით, ისე ცალკეულ რეგიონებში, კერძოდ, ხმელთაშუაზღვისპირეთში.

აღინიშნა რომ ორივე მხარე მზად არის კვლავაც განავითაროს საბჭოთა კავშირ-მალტის ხელსაყრელი ურთიერთობა სხვადასხვა დარგში, კერძოდ, სავაჭრო-ეკონომიკურ დარგში.

• • •

16 თებერვალს კრემლში ერთმანეთს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი და ფინლანდიის პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო [illegible]

[illegible]

წესი, რიგი და ჩვენ

...ოთახში არეულობაა. იატაკზე ყრია კარადიდან გადმოცვენილი თეთრეული, სხვადასხვა ნივთები, წიგნები... ეტყობა, მძარცველები რაღაცას ეძებდნენ. იქვე საწოლში ქალის „გვამია", რომელსაც თავს დასტრიალებს ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი. იგი სპეციალური ხელსაწყოთი გულდასმით ათვალიერებს ცხედარს, ეძებს ძალადობის კვალს.

ა, მან რაღაც ნახა და თავისთან იხმო გამომძიებელი. [illegible]

მეცადინეობა გრძელდება...

დიახ, ეს ყოველივე მეცადინეობაა, რომელიც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის [illegible]

[illegible]

მოცდები კი, როგორც რესპუბლიკის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, აქაც პირველ აგვისტოს იწყება. ჩარიცხვის შემდეგ ვველა მათგანი შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკად ითვლება.

აღსანიშნავია, რომ სასწავლებელში [illegible]

სხვა მოძრავი სქემები, კინოდანადგარები და სხვა ემზარება. მათ, დაზოგონ დრო და უფრო სრულად შეისწავლონ ესა თუ ის საგანი.

კურსანტებს ლექციებს უკითხავენ თვალსაჩინო მეცნიერები, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების [illegible]

ლის სამართლის წარმოებას ეუფლებიან. აქ წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით აწყობენ ამა თუ იმ დანაშაულის ინსცენირებას — ქურდობა იქნება ეს თუ მკვლელობა — და იწყება პრაქტიკული მეცადინეობა-გამოძიება, დაკითხვა, თანამედროვე კრიმინალისტური [illegible]

ტული ბაზები, სადაც კურსანტთა დასატყებას ემსახურება შიდაობის დარბაზები, ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, საცურაო აუზი, ლია ტირი და ტანვარჯიშის მთელი კომპლექსი.

— მოვეძებნებათ, თუ რაოდენ დიდი და რთული ამოცა[illegible]

იქმნა სასწავლებლისათვის [illegible] რის სახალხო [illegible] სადაც სწავლება [illegible] [illegible] კულტურის სახალხო [illegible] ვერსიტეტის რექტორია [illegible] ველის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. კეცხოველი, [illegible] რექტორები — ცენრალ „სახე[illegible]

[illegible]

მილიციელი უნდა იყოს ყოველმხრივ მომზადებული, თავაზიანი და კეთილშობილი პიროვნება, მისი უნდა გვჯეროდეს, ვენდობოდეთ და ამავად წარმოვთქვამდეთ იმავე პოეტის სიტყვებს — „ჩემი მილიცია მე მიცავს!"

ლ. ხუბულური.

ჩემი მილიცია მე მიცავს

მამაცობის, ერთგულების, გამჭრიახობის სკოლა

თავდაჭერილობა, სარიანობა—აი ასეთი რა აძლიერებს მათ ყოველდღიურ შრომას

[illegible]

ნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების თანამედროვე მიღწევები. საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თ. ბადურაშვილის, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის ნ. კობახიძისა და ჩვენი ფაკულტეტის ინიციატივით სწორედ ამ მიზნით შე[illegible]

ათა ქუჩების მართვა, ავტომანქანის ტარება, ფოტო ტექნიკა და, რაც მთავარია იყოს ფიზიკურად ძლიერი. ამიტომაც აჰევს ფაკულტეტის ხელმძღვანელობა ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას სპორტულ სექციათა მუშაობას. სასწავლებელს აქვს კეთილმოწყობილი სპორ[illegible]

სურათზე: ჩიმდინარეობს მეცადინეობა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელ კაბინეტში.

[illegible]

შრომაში, მაგრამ ყრილობას აინტერესებს იმ 36 კაცის ბედი, რომლებიც ჯერ კიდევ თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას.

როგორც ყრილობაზე დამსწრე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის წევრმა ნელი კობერიძემ განმარტა, კო[illegible]

სოფელში კვლავ არიან რელიგიური წეს-ჩვეულების მიმდევრები. მასობრივად იმართება „ნათლობები" და სხვა რელიგიური რიტუალები. დღემდე არ მოიშალა ეგრეთ წოდებული „უდერბის" სალოცავზე დღესასწაულის გამართვა, სადაც [illegible]

სოფლის ყრილობა მსჯელობს

ხალხის გულისწყრომა

[illegible]

ო. ნიკაბაძე, „კომუნისტის" საკ. კორ.

გზა, ტრანსპორტი

მთვრალი მძღოლი უკვე დამნაშავეა

[illegible]

ვ. როგავა.

სასამართლო დარბაზიდან

ავაზაკთა პარპაში დასრულდა

ქურდობით, ძარცვით, ყაჩაღობით რაკი ვერთხელ ხელი „მოითბეს", გათამამდნენ. სამტრედიელებმა ვასილ გიორგის ძე ხიჯარაძემ და იოსებ კონსტანტინეს ძე შარაშენიძემ არასრულწლოვანები შემოიკრიბეს, ჯგუფები შექმნეს. სავარეჯოელ არასრულწლოვანს, ესაქ მ ე რ ს, საკუთარ ბირებთან დაკავშირე[illegible]

[illegible]

მძარცველები და საქმის მიმცემნი

[illegible]

ბ. ლელაძე.

მძღოლებო, ყურადღებით იყავით!

რესპუბლიკაში დიდი თოვლი მოვიდა. მეტეოსამსახურის მონაცემებით, მომავალი ორი-სამი დღის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ ითოვებს, ხოლო დასავლეთ საქართველოში ძლიერი ქარი იქნება. რა ვითარებაა გზებზე?

— სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის მთელი ცენტრალური აპარატი, ყველა მუშაკი ადგილებზეა გასული, — თქვა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსმა, მილიციის პოლკოვნიკმა გ. შალამბერიძემ. — ასეთმა საგანგებო ღონისძიებამ იმოქმედა. თვითონ მძღოლებსაც შეგნებული აქვთ ვითარების სირთულე. მაგრამ მათ შორის დამრღვევებიც გვხვდებიან. მოლიპულ დათოვლილ გზაზე ქარიანი განსაკუთრებით საშიში და დაუშვებელია. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ დიღომში რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 19 ტრესტის № 2 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშამ ავთანდილ ბესტაევმა ახალი მანქანის მართვისას გადააჭარბა სიჩქარეს და დაეჯახა ბოძს.

15 თებერვალს გორგასლის ქუჩაზე სამგზავრო ავტობუსის მძღოლმა გ. ცხვირაშვილმა უხეშად დაარღვია გასწრების წესი და შეეჯახა ავტომობილების ხაკადს. ამის შედეგად დაზიანდა სამი ავტომანქანა, სამი კაცი დაშავდა. არ გაუწევს ანგარიში გართულებულ საგზაო სიტუაციას ორც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა გია სუჯაშვილმა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა ედუარდ გევორქიანმა. მოძრაობის წესების უხეშმა დარღვევებმა, ლიყნებულმა გამოიწვია ტრაგიკული შედეგები. 6 თებერვლიდან, როდესაც დაიწყო თოვა, მსგავსი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს დაიღუპა 11 კაცი, დაშავდა 45.

ჩვენ არ ვურჩევდით მძღოლებს იმოძრაონ ჭერის უღელტეხილის რაიონებში, ახალციხე-ახალქალაქ-ბოგდანოვკის გზაზე.

ამინდის გაუმჯობესებას ჯერჯერობით პირი არ უჩანს. ყურადღებით იყავით, ამხანაგო მძღოლებო! (საქინფორმი).

ჭადრაკი

სარაევო — 84

„თეთრი ოლიმპიადის" ტაბლო

რამდენიმე დღეც, და მეთოთხმეტე ზამთრის ოლიმპიადა დასრულდება. სარაევოში დაშვებ-რებული სპორტსმენები, ზოგი ოლიმპიადის ჩემპიონის წოდებით, ზოგიც სხვა ჯილდოებით თუ უჯილდოდ, თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდებიან და ახალი სტარტებისთვის მზადებას შეუდგებიან. ერთი სიტყვით, სარაევოსა და მის შემოგარენში ჯერჯერობით შეჯიბრებები გრძელდება. გთავაზობთ მათს შედეგებს:

ჰოკეისტებმა პატჩეტუებში შეჯიბრება უკვე დაამთავრეს. ამ ეტაპის ბოლო მატჩების შედეგები ასეთია: „ა" ჯგუფი. სსრ კავშირი-შვეცია — 10:1, იუგოსლავია-პოლონეთი — 1:8, გფრ-იტალია — 9:4; „ბ" ჯგუფი. ფინეთი-აშშ — 3:3, ჩეხოსლოვაკია-კანადა — 4:0, ნორვეგია-ავსტრია — 5:6. ჯგუფური ტურნირების დასრულების შემდეგ ფინალურ ოთხეულში გაიკვლიეს გზა სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის (2-2 მოგებიანი ქულით) შვეციისა და კანადის კოლექტივებმა. საფინალო ოთხეულის მატჩების განრიგი ასეთია: 17 თებერვალს. ჩეხოსლოვაკია — შვეცია და სსრ კავშირი — კანადა; 19 თებერვალს შვეცია — კანადა და სსრ კავშირი — ჩეხოსლოვაკია. სწორედ ამ შეხვედრების შემდეგ გამოვლინდებიან ოლიმპიური მედლების მფლობელები.

როგორც აღვნიშნავდით ასპარეზობანი სწრაფდაშვებაში რამდენჯერმე გადაიდო, და აი, ისინი გაიმართა გუშინ. ამ სახეობაში სპორტსმენი ქალები საფინალო შედეგში ასე განაწილდნენ: 1. მ. ფიგინი (შვეიცარია) — 1.13,36; 2. მ. ვალიზერი (შვეიცარია) — 1.13,41; 3. ო. ხარვატოვა (ჩეხოსლოვაკია) — 1.13,53; 4. ა. ერატი (შვეიცარია) — 1.13,95; 5. ი. განტნეროვა (ჩეხოსლოვაკია) — 1.14,14; 6-7. მ. კილი (გფრ) და ჯ. სერენსენი (კანადა) — 1.14,30-1.14,30. ვაჟთა შორის უძლიერესი იყო ბ. ჯონსონი (აშშ) — 1.45,59. მეორე ადგილზე გამოვიდა პ. მიულერი (შვეიცარია) — 1.45,86. მესამეზე — ა. შტაინერი (ავსტრია) — 1,45,95. მეოთხეზე — პ. ცურბრიგენი (შვეიცარია) — 1.46,05 მეხუთეზე — უ. რეზერი (შვეიცარია) — 1.46,23. მეექვსეზე — პ. ჰეფლერი (ავსტრია) — 1.46,32.

ერთობ დრამატული გამოდგა შეჯიბრება 4X10 კილომეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში, რომელშიც სამი ეტაპის შემდეგ სსრ კავშირის სპორტსმენები ლიდერობდნენ. ბოლო, მეოთხე ეტაპზე, იმარჯვა შვედმა გუნდე სვანმა და თავისი კოლექტივი დააწინაურა (ტ. ვასბერგი, ბ. კოლბერგი, ი. ოტოსონი და გ. სვანი—1:55.06,3. საბჭოთა სპორტსმენები ა. ბატიუკი, ა. ზავიალოვი, ვ. ნიკიტინი და ნ. ზიმიატოვი მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ — 1:55.16,2, მესამე ადგილზე გამოვიდნენ ფინელები (ა. რისტანენი, ი. მიეტო, ჰ. კირვესნიემი და ა. კარვონენი) — 1:56.31,4, მეოთხეზე — ნორვეგიელები — 1:57,27,6, მეხუთეზე — შვეიცარიელები — 1:58.06,0, მეექვსეზე — გფრ-ის სპორტსმენები — 1:59.30,2.

ციგურებით სრიალი. 1500 მ. ვაჟები. აქ ყველას აჯობა კანადელმა გ. ბუშემ — 1.58,36. შესაბამისად ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ საბჭოთა სპორტსმენები ს. ხლებნიკოვი და ო. ბოჟევი (1.58,83 და 1.58,89). მეოთხე-მეექვსე ადგილები ასე განაწილდა: ჰ. ვან ჰელდენი (საფრანგეთი; 1.59,39), ა. ერიგი (გდრ; 1.59,41) და ა. დიტელი (გდრ; 1.59,73). ვ. შაშერონი (სსრკ) მერვე ადგილზე გამოვიდა (1.59,81).

ოლიმპიადაზე გათამაშებული მედლების 28 კომპლექტიდან სხვადასხვა სახის ჯილდოები ასეა განაწილებული:

სსრ კავშირი — 20 მედალი (შესაბამისად 3 ოქროს, 9 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი), გდრ — 19 (7,7,5), ფინეთი — 10 (2,3,5), ნორვეგია — 7 (3,1,3), შვეცია 4 (3,0,1), აშშ — 4 (2,2,0), შვეიცარია — 4 (2,2,0), გფრ — 3 (2,1,0), კანადა — 3 (2,0,1), ჩეხოსლოვაკია — 3 (1,0,2), იტალია და დიდი ბრიტანეთი — თითო ოქროს მედალი, იაპონია და იუგოსლავია — თითო ვერცხლისა, საფრანგეთი, ლიხტენშტაინი და ავსტრია — თითო ბრინჯაოს მედალი. ამრიგად, ოლიმპიადის მონაწილე 49 ქვეყნიდან უკვე 17 ქვეყნის სპორტსმენები დაეუფლნენ მედლებს. იმის გამო, რომ გუშინ გვიან ღამით გათამაშდა მედლების 29-ე კომპლექტი (ფიგურულ ციგურაობაში, ქალები), ზემოთ მოცემულ ნუსხაში ფიგურისტების მიერ მიღებული მედლები გათვალისწინებული არ არის.

მორიგი მეცადინეობა

ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მსმენელები ყოველ მეცადინეობას ინტერესით ელიან ხოლმე. და აი ხვალ, 18 თებერვალს, თბილისის ჭადრაკის სასახლის საკტო დარბაზში 16 საათზე მორიგი მეცადინეობა დაიწყება. ამ დღეს საერთაშორისო დიდოსტატი ნანა ალექსანდრია წაიკითხავს ლექციას თემაზე: „ცენტრის მნიშვნელობა ჭადრაკის პარტიაში", საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი კი მსმენელებს ესაუბრება თემაზე: „დებიუტი და მისი კავშირი მიტელშპილთან და ენდშპილთან" (ქმყვანი მოჭადრაკეების პარტიების გარჩევით). მეცადინეობის შემდეგ გაიმართება ერთდროული თამაშის სეანსები.

პარიზში იასპარეზებს

გუშინ მოსკოვში დამთავრდა 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონებს შორის მსოფლიო პირველობის მონაწილის შესარჩევი ტურნირი. სამ პრეტენდენტს შორის ქუთაისელმა ჰენრიეტა ლაგვილავამ ორწრიანი შეჯიბრების შემდეგ 2,5 ქულა დააგროვა და მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის საგზური მოიპოვა. ბაქოელმა ა. სოფიევამ 2 ქულა დააგროვა, ფრუნზელმა ს. მატვეევამ — 1,5. ქუთაისელი მოსწავლე 1-14 აპრილს მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც პარიზის გარეუბან შამპანი-სურ-მარნში გაიმართება.

სატურნირო ორბიტა

სამბო. კლაიპედაში დამთავრებულ ახალგაზრდა სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატში პირველობა მოიპოვა ქასპელმა შალვა პაპინაშვილმა (52 კგ). ვერცხლის მედალი დაიუფლა თბილისელი ალექსი ხაჩიძე (100 კგ), ბრინჯაოსი — ახმეტელი ნუგზარ მესხიშვილი (74 კგ) და თბილისელი იოსებ ჯიხვაძე [illegible]

[illegible] მოსკოვში მიმდინარე ზამთრის საკავშირო [illegible] პირველობაზე [illegible] დაამყარა ტამკინტელმა სერგო ხაზოლოტნოვმა. 200 მეტრზე გულით ცურვაში მისი სარეკორდო მაჩვენებელია 2.00,39. მან თავისივე რეკორდი 0,03 წამით გააუმჯობესა.

კალათბურთი. კიევში დაიწყო ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: პირველი დღე. ცსკა-ტაშკენტის „უნივერსიტეტი" — 96:89, კიევის „სტროიტელი" — კაუნასის ჟალგირის — 86:74, ლენინის „ლენინგრადის სპარტაკი" — თბილისის „დინამო" — 125:78.

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის I სემესტრის საგამოცდო სესიები საარიცხვო ეკონომიკური, ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტების ყველა კურსის სტუდენტებისათვის მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან დაიწყება, ხოლო სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის (I-IV კურსები) სტუდენტებისათვის — უკვე მიმდინარეობს.

რექტორატი.

ნ. წერეთელი

ქართულმა იურიდიულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი, თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნიკოლოზ იოსების ძე წერეთელი.

ნიკოლოზ წერეთელი დაიბადა 1905 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1930 წელს დაამთავრა.

ნ. წერეთელმა როგორც სამართალმცოდნემ, თავისი მოღვაწეობა პრაქტიკული საქმიანობით დაიწყო: იყო ჭიათურის მანგანუმის ტრესტის ტყიბულის ქვანახშირის წარმოების, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული განყოფილებების უფროსი, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს იურიდიული ბიუროს გამგე.

პროფესორი ნ. წერეთელი თავის პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას უთავსებდა სამართალდაცვით და სხვა ორგანოებში მუშაობას. იგი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მეცნიერ-კონსულტანტი, საქართველოს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის ლექტორი და სხვა.

ნიკოლოზ წერეთელი დიდად განათლებული პიროვნება გახლდათ. მისი ინტერესის სფეროში ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებიც შედიოდა. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა იგი ჭიათურის სახელმწიფო თეატრის სალიტერატურო ნაწილს, წერდა წერილებს, პიესებს.

სამეცნიერო, პედაგოგიურ და პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად პროფესორი ნ. წერეთელი დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა — სათავეში ედგა იურისკონსულტთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს, იყო სამართალმცოდნეობის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, მრავალი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

მისი ნათელი სახე დიდხანს ეშახსოვრებათ მის კოლეგებს, აღზრდილებსა და მეგობრებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო; საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო; საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი; რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნა".

გ. ცხოვრებაძე

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პარტიული მუშაკი, 1931 წლიდან სკკპ წევრი, ლენინის ორდენოსანი, სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გრიგოლ ალექსის ძე ცხოვრებაძე.

გ. ცხოვრებაძე დაიბადა 1907 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ თუზში. შრომითი საქმიანობა ახალგაზრდობიდანვე დაიწყო. სწავლობდა შორაპნის მუშფაკში, ამავე დროს მუშაობდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საფინანსო ეკონომიკის ფაკულტეტი, იყო ამ ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი, შემდეგ კი საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული რადიოკომიტეტის პარტკომის მდივანი.

1939-44 წლებში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორია, ხოლო 1944 წლიდან 1952 წლამდე საქართველოს კომპარტიის ვანის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობს. შემდეგ იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა სამტრედიის რაიონის ვაზისუბნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, ამავე რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, სამტრედიისა და მაიაკოვსკის რაისაბჭოს აღმასკომების საერთო განყოფილების გამგედ და სხვა. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით. არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ღვაწლმოსილი კომუნისტის, სპეტაკი და უანგარო მუშაკის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება იმათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა და მასთან ერთად მუშაობდა.

საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიონული კომიტეტი; სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ცისფერ ეკრანზე

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

რა მოვისმინოთ

საქართველოს რადიოს ერთი კვირის პროგრამა



მოსკოვი

თბილისი

ჩვენს ტელეეკრანებზე

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 05798 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის ...